პროექტის ფაქტები

Funded by the European Union

EU4Youth: საზღვრისპირა რეგიონებში სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემის განვითარება (SEED) მწვანე ზრდისთვის

განხორციელების ვადა: 19.12.2019 - 19.04.2023

EaP ქვეყნები:
საქართველოს, სომხეთი

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
CENN, Green Lane (AM), Kakheti Regional Development Foundation (KRDF)

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:

პროექტის ვებსაიტები: www.cenn.org

პროექტის აღწერა:

პროექტის "საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებში სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემის განვითარება (SEED) მწვანე ზრდისთვის" მიზანია საქართველოში და სომხეთში მცხოვრები ახალგაზრდების სამეწარმეო პოტენციალის განვითარება, სოციალური მეწარმეობის და მწვანე ინოვაციების მიმართულებით მათი უნარ-ჩვევების გაძლიერება და ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა. წარმოდგენილი პროექტი შექმნის ხელსაყრელ პირობებს სოციალური მეწარმეობისა და მწვანე ინოვაციებისთვის საქართველოსა და სომხეთში და ხელს შეუწყობს საზღვრისპირა თემებში მცხოვრები შესაძლებლობებს მოკლებული ახალგაზრდების პოტენციალის განვითარებას მნიშვნელოვანი სოციალური და გარემოსდაცვითი სარგებლის მოტანის მიზნით.

აღნიშნული პროექტი ევროკავშირის ახალგაზრდების მხარდამჭერი ფართო ინიციატივის და EU4Youth პროგრამის ნაწილია.

მოსალოდნელი შედეგები:

SEED პროგრამის ფარგლებში, შეიქმნება დაინტერესებული მხარეების პლატფორმა სუბ-ეროვნული, ეროვნული და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის მიზნით, ახალგაზრდებში სოციალური მეწარმეობის საქმიანობის გასააქტიურებლად და პოლიტური დიალოგის გასაძლიერებლად. გარდა ამისა, SEED შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროგრამებსა და მასალებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მწვანე ინოვაციებსა და მდგრად განვითარებას, რათა განვითარდეს სოფლად მცხოვრები მოწყვლადი ახალგაზრდების უნარები საქართველოსა და სომხეთის სამიზნე რეგიონებში.
ამის გარდა, პროგრამის მიზანია მინიმუმ 20 ახალი პროექტის მხარდაჭერა სოციალური მეწარმეობისა და მწვანე ინოვაციების მიმართულებით, რომელიც განხორციელდება სამიზნე რეგიონებში.